საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი 05.02.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;

ნინო ლიპარტია-ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი, სხდომის მდივანი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა-სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ქეთევან კინწურაშვილი;
ნინო დეკანოიძე;
მალხაზ ბერეჟიანი;
რუსუდან სეთურიძე;
დავით სიხარულიძე;
დავით ქარცივაძე;
ანა გვრიტიშვილი;
ნინო ლომიძე;
მამუკა კოტეტიშვილი;
ნოდარ ბერიძე.

მოწვეული ექსპერტი:
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
დავით სიხარულიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მანანა კევლიშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
ნინო მოდებაძე - პროგრამების კოორდინატორი;
მზია ღაღოლიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ვეფხიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ აბზიანიძე- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;
არჩილ სამადაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ქეთევან ქუთათელაძე - აკადემიური პერსონალი;
მანანა მაღრაძე - აკადემიური პერსონალი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნათელა წიკლაშვილი - რექტორის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:20 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სხდომას აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ესწრებოდნენ მოწვეული ექსპერტები - დავით სიხარულიძე და გიორგი თურქია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, ასევე საბჭოს სხდომაზე დამსწრე დაწესებულებების წარმომადგენლებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა ხომ არ იყო წარმოდგენილი. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი.

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონომია
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრონომიის ბაკალავრი 0101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან ის საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ყველა სტანდარტის მიხედვით დადებითად იყო შეფასებული და არ არსებობდა რეკომენდაციები და არსებობდა მხოლოდ რჩევები, რომლებიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მრავალფეროვნებისათვის, სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობას უფრო მეტი რაოდენობის კულტურისა და ჯიშის გამოყენებით. ვაზის ჯიშების კოლექციის მოწყობას ნაკვეთზე.
- სტუდენტების მონაწილეობას უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული პროექტების შესრულებაში.

მან აღნიშნა, რომ ინტერვიუებისას გამოიკვეთა ადმინისტრაციის სრული მზაობა პროგრამის განვითარების ხელშეწყობისთვის. მისი თქმით, წინა აკრედიტაციის დროს აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრილია. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაფიქსირებული იყო საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ ის, რომ პროგრამის ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა მზაობა გაეთვალისწინებინათ რჩევები. მისი თქმით, ისინი ფლობდნენ 16 ჰექტარ მიწის ნაკვეთს და სხვადასხვა პროექტის ფარგლებში გეგმავდნენ უფრო მრავალფეროვანი სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადემონსტრაციო ნაკვეთზე შერეული ჯიშის ნერგებია გაშენებული, რათა სტუდენტისათვის იყოს შექმნილი მეტი თვალსაჩინოება. მისი თქმით, ასევე ათვისების პროცესშია ახალი ნაკვეთი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ურთიერთობა ჰქონდა რიგ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, მაგალითად ფრანგულ მხარესთან ერთად აპირებდნენ ღვინის დამზადებას. მისი შენიშვნით, იგეგმებოდა ახალი პროექტების განხორციელებაც და ყველა მათგანში უზრუნველყოფილი იქნებოდა სტუდენტთა ჩართულობა.

საბჭოს წევრმა, სალომე თოთიბაძემ იკითხა, თუ კონკრეტულად სად ხდებოდა პრაქტიკის განხორციელება პროგრამის სტუდენტთათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკის ძირითადი ობიექტები იყო ღვინის საწარმოები და ამავე საწარმოების მფლობელობაში მყოფი ვენახები. თუმცა ამასთან ერთად, იყო გარკვეული კერძო ფირმები, რომლებიც ამუშავებდნენ შერეული სახის ხილის კულტურებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა შენიშნა, რომ კურსდამთავრებულთა რაოდენობა იყო საკმაოდ მცირე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წლების განმავლობაში სოფლის-მეურნეობის დარგი არ იყო პოპულარული სტუდენტებში, თუმცა ბოლო წლებში სტუდენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად, სტუდენტების სიმცირიდან გამომდინარეობდა კურსდამთავრებულთა სიმცირეც.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ ფაქტორისა, საკმაოდ დაბალი იყო მათ შორისაც კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დიდი იყო მობილობისა და სტატუსის შეჩერების შემთხვევათა რაოდენობაც.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ, რომელიც ამავე დარგს წარმოადგენდა აღნიშნა, რომ მის უსდ-შიც იყო მსგავსი სტატისტიკა და ეს ზოგადი პრობლემა იყო ქვეყანაში. მისი თქმით ეს დიდწილად უკავშირდებოდა სასკოლო განათლების სისუსტეს. მან აღნიშნა, რომ ორ საკითხთან დაკავშრებით ჰქონდა შენიშვნა. მისი თქმით, მიწათმოქმედების სილაბუსში უმჯობესი იქნებოდა თუკი სილაბუსებში დაკონკრეტდებოდა ლაბორატორიული მუშაობის დეტალები, რათა სტუდენტებისათვის მეტი სიცხადე შექმნილიყო ამ მიმართულებით. ასევე, მისი თქმით, სასურველი იყო თუ აგროეკოლოგიის სილაბუსში სიტყვა: დაჭუჭყიანება შეიცვლებოდა ტერმინით: დაბინძურება.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, ხომ არ გაჩენილა კითხვები პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რადგან, მისი თქმით პედაგოგს კვალიფიკაცია ჰქონდა სტომატოლოგიაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მოცემულ პიროვნებას ჰქონდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება იმ დარგში, რომელსაც ასწავლიდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ამავე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული პედაგოგი იყო მრავალი ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ასევე ჰქონდა პუბლიკაციები მოცემულ დარგში.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, თუ რამდენი კვირა გრძელდებოდა პრაქტიკა პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრაქტიკა იყო ყოველდღიური 1 თვის განმავლობაში, მე-6, გაზაფხულის სემესტრში.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ლიტერატურაში არ იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები სწავლობდნენ ინგლისურს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისურის ცოდნა სტუდენტებს ადგებოდათ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისას, ხოლო ლიტერატურის შესახებ კი მიიჩნევდნენ, რომ უკეთესი იქნებოდა უცხოენოვანი საკითხავის სწავლების მომდევნო საფეხურზე შეთავაზება. თუმცა, მისი თქმით ეს კომპონენტი ვითარდებოდა პროგრამაში და ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ცდილობდა ჩაერთო უცხოელი ლექტორებიც სასწავლო პროცესში.

საბჭოს წევრმა, სალომე თოთიბაძემ იკითხა, თუ რამდენი სამეცნიერო პროექტი იყო დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში და რამდენი პერსონალი იყო წასული საზღვარგარეთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა საერთაშორისო პროექტის დაფინანსებით გადაამზადა რეგიონის წარმომადგენელი ფერმერთა გარკვეული რაოდენობა, ასევე მისი თქმით, მათ მევენახეობა-მეღვინეობის მოკლე კურსი შესთავაზეს დაინტერესებულ პირებს. მან ასევე აღნიშნა, რომ თავად იგი და რამდენიმე სხვა პროფესორი იყვნენ ესპანეთში კვლევითი მიზნებით, ასევე იტალიასა და საბერძნეთში.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ შენიშვნა ჰქონდა სასურსათო კანონმდებლობასთან დაკავშირებით და თქვა, რომ შეკრებილი იყო ყველა კანონი, რაც კი არსებობდა ამ მიმართულებით, ხოლო საკითხავი ლიტერატურა კი რეალურად არ იყო მითითებული. მისი თქმით, კანონები არ უნდა იყოს საკითხავი ლიტერატურა, ხოლო იმ შემთხვევაში კი, თუ ასეთი არ ჰქონდათ, მათ თავად უნდა შეექმნათ რიდერი. ასევე, მან შენიშნა, რომ საგნის კრედიტების რაოდენობის გადამუშავება როგორც წესი ხდებოდა მისთვის საჭირო საათების მიხედვით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, როდესაც რეალურად არ არსებობდა საკითხავი ლიტერატურა, მისი აზრით ძალიან რთული იქნებოდა კრედიტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, რამდენიც უნდა მინიჭებოდა კურსს. რაც შეეხებოდა აგრობიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლებს, ამის შესახებ მან აღნიშნა, რომ მხოლოდ მე-9 კვირიდან იწყებოდა იმ საკითხების სწავლა, რომელიც იყო თავად ამ კურსის მიზანი. მან ასევე

აღნიშნა, რომ მოცემულ სილაბუსში იყო საკმაოდ მოძველებული ლიტერატურა შემოთავაზებული, მაშინ, როდესაც არსებობდა უახლესი უცხოური ლიტერატურა.

აგრობიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა იკითხა, თუ როგორ ახერხებდა კურსის სწავლებას ლექტორი, რომელიც იყო არა მოცემული დარგის სპეციალისტი, არამედ ღვინის ტექნოლოგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოცემულ პიროვნებას ჰქონდა გავლილი შესაბამისი ტრენინგები, თანაც იგი, მისი თქმით, იყო რეგიონში ძალიან წარმატებული საწარმოს მენეჯერი.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ შენიშნა, რომ პრაქტიკის შეფასება ხდებოდა პრაქტიკული საქმიანობით, დღიურის წარმოებით და პრაქტიკის ობიექტზე ყოველდღიური გასვლა და დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რა ფასდებოდა ბოლო კომპონენტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ადრე არ ფასდებოდა დასწრების კომპონენტი, ამ ეტაპზე კი აღირიცხებოდა ის, რომ სტუდენტი მივიდა ველზე და შეეცადა რაიმე გაეკეთებინა, რათა იმ შემთხვევაშიც თუ მან არაფერი გააკეთა, მაგრამ მოვიდა და რაიმე მაინც ნახა ამისი აღრიცხვაც მომხდარიყო. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ეცდებოდა გაეთვალისწინებინა ის შენიშვნები, რომლებიც ჰქონდა საბჭოს წევრ, ირაკლი ბურდულს.

საბჭოს სხდომაზე 12:55 საათზე გამოცხადდა შესვენება.
13:10 საათზე განახლდა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას და მათ ჰქონდათ გარკვეული სახის რეკომენდაციები. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მეორე სტანდარტთან მიმართებით უნდა შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. საბჭომ მიიჩნია, რომ საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები პროგრამასთან დაკავშირებით იყო არსებითი და დაწესებულების მხრიდან მათი გათვალისწინება უნდა მომხდარიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
10 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე. ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების ფორმით, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდება საბჭოს სხდომაზე ასახული რეკომენდაციების შესრულება.

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი 0104
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან ის საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის მესვეურები ითვალისწინებდნენ იმ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მიიღეს წინა აკრედიტაციის პროცესისას. მისი თქმით, იგი თავად იყო წინა აკრედიტაციის პროცესისას ექსპერტთა ჯგუფის წევრი და მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაიხვეწა შეფასების სისტემა, დაამუშავეს პრაქტიკის სილაბუსი, შეიტანეს კურიკულუმში ბიოქიმია და განაახლეს სასწავლო ლიტერატურა. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ 2.2-კომპონენტთან დაკავშრებით არსებობდა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა „მიკრობიოლოგიის" კურსის „კერძო ტექნოლოგიისა" და „ბიოტექნოლოგიის" კურსების წინ სწავლებას. მან ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული შენიშვნები არსებობდა რიგი კურსებისათვის წინაპირობების დაწესებასთან დაკავშირებით და ასევე კურიკულუმში სტუდენტებისათვის კურსების წინაპირობების იდენტიფიცირების გაადვილებისათვის მათი კოდების ნაცვლად,

კურსების სახელების მითითებასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში გარდაიცვალა რამდენიმე წამყვანი პედაგოგი, რომლებიც ასწავლიდნენ ძირითად საგნებს და შესაბამისად გაჩნდა მათი ჩანაცვლების საჭიროება. მან ასევე ახსენა, რომ დამსაქმებლები დიდ იმედებს ამყარებდნენ მოცემულ პროგრამაზე და მის სტუდენტებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ ის პრობლემა, რომელსაც ეხებოდა რეკომენდაცია, ეთანხმებოდნენ და ეს რეალურად მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა, თუ რა იყო უსდ-ს დაფინანსების წყარო გარდა სწავლების საფასურისა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო ძირითადად სახელმწიფოსაგან მოწოდებული თანხები, დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე და ასევე საერთაშორისო პროექტებიდან შემოსული თანხები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა, თუ რამდენად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამსაქმებლებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათთან ურთიერთობა სტაბილურად უმჯობესდება და ღრმავდება. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი წარმატებული კომპანია აფინანსებდა საუკეთესო სტუდენტს პროგრამიდან, ამასთან ერთად ზოგიერთი საწარმოს დაფინანსებით პერსონალიც ყოფილა წასული საზღვარგარეთ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. მან აღნიშნა, რომ უსდ-ს ავტორიზაციის დასკვნაში დამსაქმებლებთან ურთიერთობა განსაკუთრებით დადებითად იყო შეფასებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ იგი დადებითად აფასებდა პროგრამას, თუმცა მაინც ჰქონდა გარკვეული შენიშვნები. მისი თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ უსდ-ს უკვე ჰქონდა ღვინის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა, იგი არ მიიჩნევდა მართებულად, მოცემულ პროგრამაში ღვინისა და მევენახეობის საკითხების ისეთ სიმრავლეს, რომელიც სახეზე იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მეღვინეობის პროგრამა სამაგისტრო საფეხურს ეკუთნოდა და არა საბაკალავროს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩაერთოთ კოლოიდური ქიმია კურიკულუმში, როგორც ცალკე კურსი. მან ასევე აღნიშნა, რომ გარკვეულ სილაბუსებში ხდებოდა საკითხების გადაფარვები: მაგალითად. ანალიზურ ქიმიაში, ღვინის ტექნოლოგიაში, ბიოქიმიაში და ა.შ. მეორდებოდა შაქრის განსაზღვრის ცალკეული მეთოდები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ საკითხებს ასწავლიდნენ კონკრეტული კურსის სპეციფიკისა და კონტექსტის მიხედვით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ღვინის ტექნოლოგიის მეორე ნაწილის, მე-3 და მე-7 კვირის ლაბორატორიებში თვითდაწმენდის დაკვირვებაში იწერებოდა 4 ქულა და დაინტერესდა, თუ რა პრინციპით ხდებოდა ეს შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოცემული აქტივობის თეორიულ ნაწილში იწერებოდა 2 ქულა და პრაქტიკულში ასევე 2.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ სასურველი იყო ბიოქიმიის კურსის გამრავალფეროვნება და არ ყოფილიყო კონცენტრირებული მხოლოდ ღვინოზე. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა მოცემულ შენიშვნას.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, იყო თუ არა უკვე შერჩეული გარდაცვლილი პედაგოგების შემცვლელები. ასევე მან შენიშნა, რომ პროგრამაში უმჯობესი იქნებოდა, თუკი დაიხვეწებოდა სწავლის შედეგები, მათი სიმრავლის გამო. ამასთან ერთად, მან შენიშნა, რომ სწავლის შედეგების 6 პუნქტია მითითებული აკადემიური წერის სილაბუსში, ხოლო რუკაზე კი მხოლოდ ორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აკადემიური წერის კურსი გადის იმ შედეგებზე, თუმცა მისი ცვლილებების შესახებ აქტიურად მიდის მსჯელობა თავად პროგრამის მესვეურებს შორის.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა, თუ რატომ იყო ასეთი დიდი განსხვავება დაწესებულების ორ პროგრამას შორის, რომელიც მოცემულ სხდომაზე განიხილებოდა სწავლის შედეგების მიმართულებით, რადგან პირველში, მისი თქმით, გაცილებით უფრო ლოგიკურად და კომპაქტურად იყო შედეგები ჩამოყალიბებული, ვიდრე მეორეში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ განსახილველი პროგრამის შემთხვევაში სილაბუსებიდან იყო გარკვეული სწავლის შედეგები გადატანილი, რომელიც მათ საჭიროდ ჩათვალეს. გარდაცვლილი პედაგოგების შესახებ კი მან აღნიშნა, რომ უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება ორ ადამიანთან, რომლებიც იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და ამ ეტაპზე უნივერსიტეტს ისინი ჰყავდა მოწვეული, თუმცა შემოდგომის სემესტრშ უკვე აპირებდნენ მათთან, როგორც აკადემიურ პერსონალთან ხელშეკრულების დადებას.

საბჭოს სხდომაზე 13:45 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას და მათ ჰქონდათ გარკვეული სახის რეკომენდაციები. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მეორე სტანდარტთან მიმართებით უნდა შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. საბჭომ მიიჩნია, რომ საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები პროგრამასთან დაკავშირებით იყო არსებითი და დაწესებულების მხრიდან მათი გათვალისწინება უნდა მომხდარიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
10 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე. ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი დაწესებულებაში ვიზიტის განხროციელების ფორმით, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდება საბჭოს სხდომაზე ასახული რეკომენდაციების შესრულება.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა.

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ეკონომიკის ბაკალავრი 0701
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის სასწავლო გეგმაში I, II, III სემესტრებში ინგლისური ენის სწავლების დონეების გასწორების საჭიროებას, რათა შესაძლებელი იყოს ინგლისური ენის როგორც A1, ისე B1 დონის შეთავაზება.
- საერთაშორისო ეკონომიკის კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანას სასწავლო კურსის შინაარსთან.
- ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით კვლევით ნაწილში საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მოდიფიკაციას.
- პროგრამაში დარგობრივი აკადემიური პერსონალის დამატების საჭიროებას.

• ზოგიერთ სილაბუსში ქულათა განაწილებასთან და კომპონენტების ჩაშლასთან არსებული ხარვეზების გასწორების საჭიროებას.

მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე იყო დაფიქსირებული რიგი საუკეთესო პრაქტიკებისა, მაგალითად შესაძლებლობა სტუდენტებისთვის, რომ ბიბლიოთეკით ისარგებლონ კვირას და ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების დამაკავშირებელი ელექტრონული პორტალის არსებობა, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტებს შეუძლიათ გაგზავნონ რეზიუმეები დამსაქმებლებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დასკვნაში ნახსენები იყო ყველა ის საკითხი, რაც პირობითი აკრედიტაციის მიღების შემდეგ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაუმჯობესდა პროგრამაზე. პირველი რეკომენდაციის შესახებ მან ახსენა, რომ ეს იყო მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი და რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული იყო. მან ახსენა, რომ გათვალისწინებული იყო წინა აკრედიტაციის პროცესისას მიცემული ყველა რეკომენდაცია, გარდა აკადემიურ თანამდებობაზე პედაგოგის არჩევისა, რისი უზრუნველყოფაც ჯერ ვერ მოხდა, რადგან მსურველები ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიღებული რეკომენდაციები იყო მნიშვნელოვანი და ნამდვილად წაადგებოდა პროგრამის სამომავლო განვითარებას. მან აღნიშნა, რომ გასული ერთი წელი უსდ-მ გამოიყენა პროგრამის გასაუმჯობესებლად და გადასამუშავებლად. მისი თქმით, გათვალისწინებული იქნება შენიშვნები წინაპირობების შესახებ და ასევე საერთაშორისო ეკონომიკის სასწავლო კურსის შინაარსთან დაკავშირებით, დახვეწილი იქნება შეფასების კომპონენტთა გადანაწილება და ასევე მოხდებოდა აკადემიური პერსონალის აყვანაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ძალიან ეფექტურად მუშაობდა და ადმინისტრაციისგანაც იყო სრული მზაობა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს ერთი ცენტრალიზებული ბიუჯეტი თუ არსებობდა საფაკულტეტო ბიუჯეტი.

დაწესებულების წარომადგენელმა უპასუხა, რომ ბიუჯეტი იყო ცენტრალიზებული და ასევე პროგრამა იყო პრიორიტეტული სახელმწიფოსათვის და შესაბამისად ხდებოდა მისი სუბსიდირებაც საჯარო სახსრებით. მისი თქმით, ბიუჯეტში გაწერილია თითოეული პროგრამის ხარჯი და ამასთან ერთად უნივერსიტეტი ფინანსურად მხარს უჭერდა რიგ კვლევით პროექტებს და სტუდენტთა და ახალგაზრდა მკვლევარების ჩართულობას მათში. მან აღნიშნა, რომ ნახსენებ პროექტებში კვოტები იყო გამოყოფილი მიმართულებების მიხედვით და მოცემული პროგრამის სტუდენტებსაც შეეძლოთ მიეღოთ მათში მონაწილეობა. თუმცა, ამასთან ერთად მან დასძინა, რომ მხოლოდ სწავლის გადასახადიდან შემოსული თანხაც საკმარისი იყო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, ყოველგვარი გარე თანხების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა თუ სად გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკას.

დაწესებულების წარომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობდა მემორანდუმები, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში მოქმედ რიგ ორგანიზაციებთან, თუმცა სტუდენტთა ძირითადი ნაწილი პრაქტიკას გადიოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში და ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებში.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძემ შენიშნა, რომ პროგრამაში მხოლოდ 6 მეთოდი იყო მითითებული, რომელსაც იყენებდნენ სწავლებაში. დაწესებულების წარომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო ძირითადი მეთოდები, რომლებიც მეორდებოდა სხვადასხვა კურსებში, თუმცა რიგ შემთხვევებში იყენებდნენ სხვა მეთოდებსაც.

14:30 საათზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 14:40 საათზე

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ნაცვლად მეტწილად შესაბამისობისა.

ამასთან, ასევე, საბჭოს მოსაზრებით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილება მიზანშეწონილია ძალაში შევიდეს 2019 წლის 17 იანვრიდან, როდესაც პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა.
აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
10 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 17 იანვრიდან.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია და საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის მაგისტრი პროექტების მენეჯმენტის სპეციალიზაციით 020327
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება. თვითაცილება განაცხადეს ასევე საბჭოს შემდეგმა წევრებმა - გიორგი ქვარცხავამ და სალომე თოთიბაძემ. საბჭოს სხდომას აკრედიტაციის დებულების შესაბამისად წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ამილახვარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ საკითხის პირველი განხილვა მოხდა 2019 წლის 25 იანვრის სხდომაზე, თუმცა საბჭო ვერ შეთანხმდა გადაწყვეტილებაზე და გადაწყვიტეს, მოეწვიათ დარგის სპეციალისტები და მათი შეფასების მოსმენის შემდეგ ემსჯელათ და მიეღოთ გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მოწვეულ სპეციალისტს, გიორგი თურქიას.

მოწვეულმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ თანამედროვეობაში უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა პროექტული ტიპის აზროვნება და მისი შენიშვნით პროექტული დაგეგმვის საუკეთესო მაგალითები მოიძებნებოდა მშენებლობის დარგში, რადგან იქ ცალკეული პროცესები და ეტაპები განსაკუთრებით კარგად იყო წარმოდგენილი. მისი თქმით, პროექტის მართვის მთავარი შემადგენელი ნაწილები იყო შინაარსის მართვა, ხარისხის მართვა, ვადების მართვა, პერსონალის მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, და ასევე კომუნიკაციებისა და რისკების მართვა. მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე მოცემული კურსების სახელწოდებებიდან მხოლოდ ორი შეესაბამებოდა პროექტების მართვას, კერძოდ კომუნიკაციები და პერსონალის მართვა. მან ასევე აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა პროექტების ნაცვლად, ოპერაციათა მართვა უფრო შესაბამისი იქნებოდა პროგრამისათვის. მან აღნიშნა, რომ იმისათვის რათა პროგრამას შეეძინა მეტი შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, აუცილებელი იყო რიგი ცვლილებების განხორციელება და რიგი ახალი კურსების ინტეგრირება. მან აღნიშნა, რომ რისკების მართვას მხოლოდ ერთი საათი ჰქონდა დათმობილი საწარმოს ეკონომიკის კურსში, ფინანსებს კი ორი, და დაამატა, რომ საჭირო იყო საწარმოს ეკონომიკა ისწავლებოდეს სხვა სახით მაგისტრატურაში. მან აღნიშნა, რომ იგი ეთანხმებოდა ექსპერტებს, როდესაც აღნიშნეს, რომ პროგრამა უნდა მოსულიყო შესაბამისობაში კვალიფიკაციასთან.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მოწვეულ სპეციალისტს, დავით სიხარულიძეს.

მოწვეული ექსპერტი დაეთანხმა გიორგი თურქიას და აღნიშნა, რომ ძირითად საგნებში სასურველი იქნებოდა რისკების ანალიზის, პროექტის ღირებულების შეფასების, კონტრაქტებისა და შესყიდვების მართვის, ლიდერობისა და ორგანიზაციული ქცევის დამატება. მან აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების მართვის კურსი ისწავლებოდა ძირითადად ორგანიზაციული ქცევის სახელმძღვანელოთი, რომელიც, მისი აზრით, ბაკალავრის საფეხურს უფრო მეტად შეესაბამებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა იკითხა, გულისხმობდა თუ არა მოწვეული სპეციალისტი იმას, რომ პროექტების მენეჯმენტი მეტად უნდა დაკონკრეტებულიყო.

მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი ამასაც გულისხმობდა და ასევე მას ჰქონდა კითხვები თავად პროგრამის ლოგიკასთან დაკავშირებით. მან წაიკითხა პროგრამის მიზანი, და აღნიშნა, რომ იგი რომ თავად ყოფილიყო ექსპერტი პროგრამის შეფასებისას, მას აუცილებლად გაუჩნდებოდა კითხვა იმის შესახებ, თუ რას გულისხმობენ პროგრამის მესვეურები ინდუსტრიულ პოლიტიკაში. მან აღნიშნა, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა თავისი არსით ძალიან ფართო იყო და ძირითადი საგნების შინაარსში იგი ნაკლებად ხედავდა შესაბამისობას ინდუსტრიული პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებთან. ასევე მან აღნიშნა, რომ რიგი საგნების ლიტერატურა იყო განსაახლებელი. ასევე მისი თქმით, მაღალტექნოლოგიური პროექტების მართვის პროგრამაზე ასწავლიდნენ ჩვეულებრივ პროექტების მართვას. მან ასევე აღნიშნა, რომ არ ესმოდა თუ სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტში რატომ

სწავლობდნენ MS Project -ს. მან შენიშნა, რომ საერთოდ უჭირდა გაეგო, თუ რატომ ერქვა პროგრამას თავისი სახელწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის შემქნის მთავარი იდეა იყო პირველ რიგში ისეთი პერსონალის შექმნა, რომელიც შეძლებდა ტექნოლოგიური სიახლეების სამეწარმეო პოტენციალის ადეკვატურ შეფასებას, და ასევე ისეთი ბიზნეს-მოდელების მოძიებას რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა არსებულ ტექნოლოგიურ გამოწვევებთან. მან აღნიშნა, რომ წარსულში სამრეწველო სფეროში დამუშავებული მრავალი ინოვაცია დღესდღეობით უფრო და უფრო მეტად პოპულარული ხდებოდა არასამრეწველო სფეროში, მაგალითად მომსახურების სფეროში და შესაბამისად, პროგრამის შემქნის მეორე მთავარი იდეა იყო ის, რომ სტუდენტებს გაეაზრებინათ ის, რომ ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ იმ დარგებში, რომლისთვისაც ის შეიქმნა თავდაპირველად, არამედ სხვა მიმართულებებშიც. მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მოხერხდება აღნიშნული ორი ეტაპის გავლა, მნიშვნელობას იძენს თავად პროექტების შედგენა და მათ მართვა. მისი თქმით, ხსენებული 3 საკითხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ემსახურებოდა პროგრამა. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა იმის გამო ფუნქციონირებდა ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომ მოცემულ დარგში ხდებოდა ყველაზე მეტი სიახლეების ინიცირება, რაც უმარტივებდა პროგრამის მესვეურებს მოსაზრებების ილუსტრირებას. მაღალტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტის კურსის შესახებ მან აღნიშნა, რომ ნამდვილად კონტენტი უფრო მეტად კლასიკური პროექტების მენეჯმენტი იყო, თუმცა მისი თქმით, პრაქტიკაში კურსის განხორციელებისას ხდებოდა მაღალტექნოლოგიური მიმართულებით ქეისების მოყვანა და კონკრეტულად ამ მიმართულებაზე ხაზგასმა. მისი თქმით, ამ მიმართულებით ნამდვილად ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებდა რისკების მენეჯმენტი და მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული კურსის სახით არ იყო ის შემოთავაზებული, შინაარსობრივად კურსი მაინც მოიცავდა ამ თემატიკას, მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე. მან ასევე აღნიშნა, რომ უსდ-ში არსებობდა მსგავსი საბაკალავრო პროგრამა, რომელზეც სტუდენტებს შეეძლოთ წინარე ცოდნის მიღება და შემდეგ მოსვლა მოცემულ პროგრამაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე მოდელირებების გაკეთებას გეგმავდნენ არა მხოლოდ ექსელის, არამედ სხვა ახალი ამერიკული პროგრამის დახმარებით. რაც შეეხებოდა ინდუსტრიულ პოლიტიკას, მან აღნიშნა, რომ თავად პროგრამის ფარგლებში არ იგულისხმებოდა პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე, არამედ უფრო ლოკალურ დონეებზე, რომელიც უნდა იყოს მიმართული მაღალტექნოლოგიური განვითარებისაკენ.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა მიმართა მოწვეულ სპეციალისტებს და სთხოვა ეპასუხათ კითხვაზე, შეეძლო თუ არა პროგრამას არსებული მოცემულობით იმ კვალიფიკაციის შესაბამისი უნარები მიეცა კურსდამთავრებულებისათვის, რომელსაც ის ითვალისწინებდა.

მოწვეულმა ექსპერტმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ეფექტურად ახსნა პროგრამის მიზნები, თუმცა შენიშნა, რომ მისი ნასაუბრევი არ არის ბოლომდე თანხვედრაში პროგრამის დოკუმენტაციასთან. მისი თქმით, პროგრამის მესვეურები ძალიან მაღალ თამასას უყენებდნენ პროგრამაზე სწავლის მსურველებს იმის ხაზგასმით, რომ მათ წინარე ცოდნა აუცილებლად უნდა მიეღოთ საბაკალავრო პროგრამაზე, რადგან არსებობდა შანსი, რომ პროგრამაზე მისულიყო სტუდენტი, რომელსაც არ ექნებოდა მენეჯმენტის წინარე ცოდნა. მან

აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები ნამდვილად გასაგები იყო და მისასალმებელი, მაგრამ პროგრამა საჭიროებდა მეტ დამუშავებას, რომ ამ მიზნებს გათანაბრებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან ისაუბრა ძირითად ჩანაფიქრზე, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ თუკი პროგრამის სტუდენტები ვერ ახერხებდნენ მასალაზე მიყოლას, იყო შესაძლებლობა, რომ უფრო საბაზისო საკითხებიც ესწავლებინათ. თუმცა, მან აღნიშნა, რომ პროგრამა თავისი არსით მიბმული იყო საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე, რომელსაც მიმდინარე წელს ეყოლებოდა პირველი კურსდამთავრებულები და მათზე დიდ მოლოდინებს ამყარებდნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ საწარმოთა მართვის საფუძვლებში ისწავლებოდა ოპერაციათა მენეჯმენტი.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა იკითხა, თუ როგორი იყო მიღების წინაპირობები პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადად პროგრამაზე მოდიოდნენ ბიზნესის ან საინჟინრო მიმართულებების წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად იყვნენ უკვე დასაქმებულები, თუმცა დაამატა, რომ იქმნებოდა პრობლემა განსხვავებულ დისციპლინებში საბაზისო ცოდნის მქონე ადამიანებს განსხვავებული დოზით სჭირდებოდათ პროგრამის სხვადასხვა მიმართულებებზე დამატებითი ცოდნის მიღება, რაც მისი თქმით, ყოველთვის იყო ინტერდისციპლინური პროგრამების პრობლემა. მან აღნიშნა, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით პროგრამა სთავაზობდა „ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგისა და მენეჯმენტისა“ და „სისტემათა ინჟინერინგის“ კურსებს. პირველი მათგანი განკუთვნილი იყო ინჟინერიის ბაზის მქონე ადამიანებისათვის, მეორე კი ბიზნესის მიმართულებიდან მოსულებისათვის.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ იკითხა, შეძლებდა თუ არა მაგალითად. საექთნო საქმის კურსდამთავრებული პროგრამაზე მოსვლასა და განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობდა მისაღები გამოცდა უშუალოდ პროგრამაზე, რომელიც მოიცავდა რიგ საკითხებს, რომელთა წინარე ცოდნაც იყო მოთხოვნილი და შესაბამისად მსურველები უნდა მომზადებულიყვნენ წინასწარ.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ შენიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუკი დაშვების წინაპირობებში აისახებოდა გარკვეული შეზღუდვები მიმართულებების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, ითვალისწინებდა თუ არა პროგრამა პრაქტიკის კომპონენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრაქტიკა არ იყო ინტეგრირებული პროგრამაში. მისი თქმით, ბოლო წლებში პროგრამაზე არ მოსულა არც-ერთი ადამიანი, რომელიც არ იყო დასაქმებული. მისი თქმით, პროგრამის მესვეურები ცდილობდნენ, რომ კურსებიდან მიღებული ცოდნა გამოეყენებინათ კურსდამთავრებულებს თავიანთ სამუშაო პრაქტიკაში.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, მოითხოვდნენ თუ არა დამსაქმებლები პრაქტიკულ ცოდნას. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრაქტიკის კომპონენტი იყო გათვალისწინებული იმ სახით, ფაკულტეტზე არსებობდა მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, რომელთაც პროგრამის მესვეურები უზიარებდნენ მოსაზრებებს, უხსნიდნენ თუ საიდან გამომდინარეობდა ეს მოსაზრებები და

იღებდნენ მათგან უკუკავშირს. თუმცა, მან აღნიშნა, რომ ეს პროცესი არ იყო ბოლომდე გამართული და ნამდვილად არსებობდა უფრო ეფექტური მუშაობა დამსაქმებლებთან.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ ჰკითხა მოწვეულ სპეციალისტებს აძლევდა თუ არა პროგრამა პრაქტიკულ უნარებს და ზოგადად იყო თუ არა სავალდებულო, რომ პროგრამაში ყოფილიყო ინტეგრირებული პრაქტიკა.

მოწვეულმა ექსპერტმა, გიორგი თურქიამ უპასუხა, რომ სილაბუსებში პირდაპირ არ იყო ხაზგასმული პრაქტიკა, თუმცა რიგი საკითხებისა შეიცავდა პრაქტიკულ ნაწილს. მან აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია, თუმცა აღნიშნა, რომ აუცილებლად ეჩვენებოდა უკუკავშირის მიღება უკვე დასაქმებული სტუდენტებისაგან, იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინეს ნასწავლის ინტეგრირება სამუშაო საქმიანობაში. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკა მექანისტურად არ იყო საჭირო მსგავსი პროგრამისათვის და უფრო მნიშვნელოვანი იყო შინაარსობრივი ხედვა იმისა, თუ როგორ იყენებდნენ ამას სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ პრაქტიკული უნარები უნდა ჩანდეს იმ ნაშრომშიც, რომელსაც წერენ სტუდენტები სასწავლო პროცესის ბოლოს. მისი თქმით, ტიპური ნაშრომი ეხებოდა სიტუაციას, როდესაც არსებობდა მართვის გარკვეული პრობლემა და სტუდენტს უნდა ეპოვნა შესაბამისი გამოსავალი, როგორც ტექნოლოგიური, ისე მენეჯერული თვალსაზრისით.

საბჭოს სხდომაზე 15:20 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 15:40 საათზე.

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ნაცვლად მეტწილად შესაბამისობისა. აქედან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის N1881 განკარგულებით, 2011-12 წლებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით აკრედიტებულ პროგრამებს აკრედიტაციის ვადა გაუხანგრძლივდათ 2018 წლის 31 დეკემბრამდე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 31 დეკემბრიდან, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამის სტატუსის უწყვეტობა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
9 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

საბჭოს ძირითადი რეკომენდაციები:

- პროგრამის კურუკულუმი საგნების მხრივ იმდაგვარად აეწყოს რომ სტუდენტმა შეძლოს პროექტის შინაარსის, ხარისხის, ვადების, პერსონალის, მატერიალური რესურსების, კომუნიკაციებისა და რისკების მართვა.
- პირველი რეკომენდაციიდან გამომდინარე გაძლიერდეს და დაემატოს კურუკულუმს შესაბამისი საგნები.
- თუ შესაბამისი ცვლილებები არ შევა კურუკულუმში, პროგრამამ აქცენტი გააკეთოს ოპერაციათა მართვაზე.
- მოხდეს არსებული სილაბუსების გადახედვა როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე ლიტერატურის მხრივ.
- გაძლიერდეს კურუკულუმში პრაქტიკული ნაწილი, მოხდეს თეორიული სწავლების და პრაქტიკის ინტეგრირება.
- გამომდინარე იქიდან, რომ მისანიჭებელი ხარისხია პროექტის მენეჯმენტის მაგისტრი რეკომენდირებულია შემდეგი დისციპლინების (პროექტის რისკების მენეჯმენტი, პროექტის ღირებულების შეფასება (ფინანსური ანალიზი), კონტრაქტებისა და შესყიდვების მართვა, ლიდერობა და ორგანიზაციული ქცევა, ხარისხის მართვა, სტრატეგიული ოპერაციათა მენეჯმენტი, საწარმოთა მართვის სისტემები, პროექტებისა და პორტფელიოს მართვა ორგანიზაციაში) გათვალისწინება პროგრამაში ან რომელიმე მათი კომბინაცია.
- რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლებისათვის გამოყენებული ლიტერატურის განახლება და სასწავლო კურსის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანა.

მაგალითად: 1) ,,მაღალტექნოლოგიური პროგრამებისა და ტექნოლოგიების მართვა" გამოყენებული ლიტერატურა არის_გიორგობიანი ზ., ლექციების კურსი, "პროექტების მენეჯმენტი"., 157 გვ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 338.244 (02) 79; გოცირიძე ი., გიგილაშვილი თ., „პროექტების მართვა MS Project-ის გამოყენებით", სტუ, თბილისი, 2011, 61 გვ., სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 338.244 (077); 2) პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები ისწავლება ორგანიზაციული ქცევის ლიტერატურით.

- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნის დახვეწა.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრებმა, გიორგი ქვარცხავამ, გაიანე სიმონიამ და ნატო გენგიურმა.

5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი 01
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- პროგრამის მიზანი საჭიროებს ტექსტობრივ სრულყოფას, სასურველია მოხდეს მისი დაზუსტება.
- სასწავლო კურსებში „ინგლისური ენა“ (A1, A2, B1, B2) მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები თითოეული სასწავლო კურსისთვის (დონეების მიხედვით).
- სპეციალიზაციის მოდულზე დაშვების წინაპირობები დასაზუსტებელია, სასურველია დაზუსტდეს სპეციალიზაციის მოდულის, დაშვების წინაპირობები (სპეციალიზაციის მოდულები: „მცენარეთა დაცვა“ და „სატყეო საქმე“)

- სპეციალიზაციის მოდულში „მცენარეთა დაცვა“ სასწავლო კურსი „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ ამ სფეროს მაღალ აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩართული იყოს ძირითად სასწავლო კურსებში.
- სპეციალიზაციის მოდულში „მცენარეთა დაცვა“ სასწავლო კურსი „მიკოლოგია“ (სილაბუსში აღწერილი შინაარსიდან გამომდინარე), რედაქტირდეს შესაბამისად და წარმოდგენილ იქნას სპეციალიზაციის მოდულში „მცენარეთა დაცვა“, როგორც „მიკოლოგიის საფუძვლები“ (ან სხვა მსგავსი შესაბამისი რედაქტირებით).
- სპეციალიზაციის მოდულში „სატყეო საქმე“, სასწავლო კურსი „სატყეო ენტომოლოგია“, ამ სფეროს მაღალ აქტუალურობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს ძირითად სასწავლო კურსებში.
- სასწავლო კურსის - „ზოგადი ენტომოლოგია“ - თემატიკა მაქსიმალურად ფოკუსირებული იყოს ზოგადი ენტომოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებზე (და არა სხვა ორგანიზმებზე, რომლებიც მწერებს არ მიეკუთვნებიან);
- დაზუსტდეს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები (მაგ: „აგროქიმია“, სპეციალიზაციის მოდულების დაშვების წინაპირობები: „აგრონომია“, „აგროეკოლოგია“, „მცენარეთა დაცვა“, „სატყეო საქმე“. აგრეთვე სასწავლო პრაქტიკის დაშვების წინაპირობები და ა.შ).
- პროგრამის ფარგლებში, სპეციალიზაციის მოდულების მიხედვით წარმოდგენილი ყველა სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს უახლესი სასწავლო სახელმძღვანელოებით/ლიტერატურით.
- საბაკალავრო ნაშრომების შემუშავებისას, თემის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებს იმ უნარების და ხედვის გამომუშავებაში, რაც მათ მისცემთ საშუალებას ნაშრომებში შესაბამისად წარმოაჩინონ კვლევის აქტუალურობა და შეიმუშავონ (არაბუნდოვანი, მკვეთრი) დასკვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო დონეზე უნივერსიტეტის პოლიტიკა იყო პროგრამების გამსხვილება და გაერთიანება შინაარსობრივად და მოცემული პროგრამაც მისი თქმით ამის მაგალითი იყო, რადგან უსდ-ს ჰქონდა აგრონომიისა და აგროეკოლოგიის ცალკე მოდულები და ასევე ცალკე პროგრამა სატყეო საქმე, ხოლო თავად პროგრამას დაემატა მცენარეთა დაცვის მოდული. მისი თქმით, სწორედ ბოლო მოდულს ეხებოდა ძირითადი რეკომენდაციები და შენიშვნები და ეს უკანასკნელნი, გააუმჯობესებდა მოცემულ პროგრამას. მან აღნიშნა, რომ ლიტერატურა პრობლემური საკითხი იყო როგორც წესი და მისი თქმით, უნივერსიტეტს გააზრებული ჰქონდა ეს საკითხი, შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელსაც გააზრებული ჰქონდა შესასრულებელი სამუშაო, ხდებოდა ლიტერატურის შესყიდვა და ზოგადად აქტიურად მუშაობდნენ ამ საკითხზე. მან შენიშნა, რომ არსებული რეკომენდაციებიდან მისი აზრით არ იყო არც-ერთი ისეთი საკითხი შენიშნული, რომელიც ხელს შეუშლიდა პროგრამის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ წინა სხდომებს ესწრებოდა საბჭოს წევრი მოცემული დარგიდან, გიგა ქვარცხავა, რომელმაც დატოვა სხდომა, თუმცა, მისი თქმით, მან ძალიან დადებითად შეაფასა პროგრამა.

16:15 საათზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 16:30 საათზე

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, ნაცვლად ნაწილობრივ შესაბამისობისა.

აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
9 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

16:50 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:
ქეთევან ქოქრაშვილი

გიორგი ამილახვარი

მივანი:
ნინო ლიპარტია

სალომე თოთიბაძე